ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1886398

ნომერი: AR1308364

თარიღი : 08.05.2015

გაცემის თარიღი : 14.05.2015

გაცნობის თარიღი : 18.05.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა კეკელიძე პ/ნ 17001007787
- ვანი ს. ტობანიერი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ "ქ. თბილისში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის #4-27 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის თანახმად, დედაქალაქში გარე ვაჭრობად მიჩნეულია ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე, დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა. ამავე გადაწყვეტილების მე–4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, გარე ვაჭრობის კონკრეტულ ადგილებს განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობა. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65–ე მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა–ნაგებობის ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებით დამტკიცებული რუკების თანახმად, თქვენს მიერ მოთხოვნილ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა და გარე ვაჭრობის ობიეტების განსათავსება აკრძალულია.

შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილდეს მოქ. მარინა კეკელიძის 08.05..2015 წლის NAR1308364 განცხადება ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N33–ში არსებული შენობის მიმდებარედ, I კლასის ობიექტის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.